პრეს რელიზი /// SCROLL DOWN FOR ENGLISH VERSION

უძლურნი ჯაგერნაუტის ბურუსში: კეტე კოლვიცის ხუთი ოფორტი
კურატორი: ერნესტ ა. ბრაიანტ III
CRITICISM + VALUE - ექსპერიმენტული პედაგოგიკის და თანამედროვე ხელოვნების სივრცე, TIMM Architecture-თან თანამშრომლობაში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

მისამართი: კოტე აფხაზის ქ. 18/2, თბილისი, საქართველო
16 მაისი - 16 ივნისი, 2026
გახსნა: 16 მაისი, 2026 | 18:00 – 21:00
ყველა ღონისძიება უფასოა

თანმდევი ღონისძიებები:

23 მაისი, 2026 18:30 > *ფეიქრები* (1927), რეჟ. ფრედერიკ ზელნიკი
30 მაისი, 2026 18:30 > *მეტროპოლისი* (1927), რეჟ. ფრიც ლანგი
6 ივნისი, 2026 18:30 > ლექცია და საუბარი მხატვარ ვეინი ჰოჯთან
13 ივნისი, 2026 18:30 > ლექცია და საუბარი კურატორ ერნესტ ა. ბრაიანტ III-თან

გამოფენა **უძლურნი ჯაგერნაუტის ბურუსში,** რომელიც ამჯერად თბილისში ეწყობა, გერმანელი მხატვრის, კეტე კოლვიცის (1867-1945) ნამუშევრებს აერთიანებს. ნამუშევრები 1899 -1910 წლებშია შექმნილია, როდესაც ევროპა ჯერ კიდევ უსახელო, მოსალოდნელი კატასტროფის წინაშე დგას. გრავიურები ესთეტიკურ ტკბობას, პედაგოგიურ მიზნებს, მათში სიცხადის შეტანასა და მათ კრიტიკული გააზრებას ემსახურებიან.

თბილისში კეტე კოლვიცის ნამუშევრები პირველად ჩვენი მოკრძალებული გამოფენის ფარგლებში იფინება. გრავიურები არა სამუზეუმო საცავის, არამედ "საგანმანათლებლო კოლექციის" ნაწილია. კოლექცია, რომელიც თბილისში, ხელოვანებსა და სტუდენტებთან დიალოგის საგანი უნდა გახდეს, იგივე მიზანს, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამერიკაში ისახავდა. კოლექცია შთაგონების, ესთეტიკური რეფერენსის, ესეების შექმნის, დაკვირვების შესაძლებლობას, პირველწყაროს, მტკიცებულების, პროვოკაციისა და მასალის როლს ასრულებს. ამ პროცესში მათი წარმოშობაც მნიშვნელობას იძენს. გრავიურები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინტენსიური დაკვირვების საგანი იყო. მათზე კამათობდნენ და ჩუმად შესცქეროდნენ. ისინი იმ დაგროვილ ყურადღებას ატარებენ, რომელიც კეტე კოლვიცის ხელებიდან იწყება და შემდეგ, უამრავი სტუდენტის მზერა გამოვლილი, დღეს უკვე თბილისში გაგრძელდება.

კეტე კოლვიცმა თავისი ცხოვრება მიუძღვნა იმ ადამიანების შესახებ ხელოვნების შექმნას, ვისი ტანჯვაც ძალაუფლების მქონეთათვის უხილავი იყო. ის ბერლინის ღარიბ მშრომელებთან ერთად ცხოვრობდა. ამ სამყაროსთან სიახლოვემ გადამწყვეტი მნიშვნელობა შესძინა მის შემოქმედებას. კოლვიცისთვის სილამაზე არ ნიშნავდა მხოლოდ სილამაზეს. სილამაზე მისთვის ტვირთი, ღირსება და სიმართლე იყო. გრავიურებზე მუშაობა მშრომელთა ყოველდღიურობას იმეორებდა: ბეჭდვა, ზეწოლა, წინააღმდეგობა, ხილვადობის შესაძლებლობა.

გამოფენა წარსულს იკვლევს, რომელსაც მიმდინარე მოვლენების ჩრდილი ადგება. რა ვისწავლეთ როგორც მოვლენათა მოწმეებმა, არა დროის უსაფრთხო დისტანციიდან, არამედ, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, როდესაც სხეული თავყრილობის მიღმა დგას, ხედავს გამოსახულებას, და ცდილობს აღწეროს რა ხდება მაშინ, როდესაც კატასტროფას აკვირდება.

კურატორის შესახებ

ერნესტ ა. ბრაიანტ IIII - ინტერდისციპლინარული მხატვარი და პედაგოგი, რომელიც სახელოსნოში, აუდიტორიასა და საგამოფენო სივრცეებში მუშაობს. ფლობს იელის უნივერსიტეტის და ნიუ იორკის ვიზუალური ხელოვნების სკოლის MFA და მინეაპოლისის ხელოვნების და დიზაინის უნივერსიტეტის BFA ხარისხს. ოთხი წლის წინ შეიმუშავა კურსი, სახელწოდებით „პირველი კურსის აკადემიური წერის სემინარი". კურსის ფარგლებში ხელოვნების ნამუშევრები და არტეფაქტები ის ძირითადი „ტექსტებია", რომელიც შემდეგ ესეებისა და ხელოვნების შესახებ ლიტერატურაზე საუბრის საფუძველი ხდება.

გამოფენაში წარმოდგენილი კეტე კოლვიცის ხუთი გრავიურა - „საგანმანათლებლო კოლექცია", შერჩეულია არა მათი იშვიათობის, არამედ მათი უნარის გამო, შექმნან სიღრმისეული პრაქტიკისა და ანალიტიკური სააზროვნო გარემო.

უძლურნი ჯაგერნაუტის ბურუსში: კეტე კოლვიცის ხუთი გრაფიკული ნამუშევარი ერნესტ ა. ბრაიანტ IIII-ის პირველი საგამოფენო პროექტია თბილისში, რომელიც Criticism + Value-სა და TIMM Architecture-ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში ტარდება. გამოფენა ასევე მოიცავს პედაგოგიურ კვლევას და სტუდიურ პრაქტიკას.

CRITICISM + VALUE (C+V)-ის შესახებ

C+V ერნესტ ა. ბრაიანტ III-მ 2020 წელს დაიწყო, როგორც დისკუსიების სერია, რომელიც ერთ ძირითად საკითხს იკვლევდა: რას იტყოდა ხელოვნების ნამუშევარი, ლაპარაკი რომ შეეძლოს? C+V დროთა განმავლობაში საუბრების სერიიდან ექსპერიმენტულ, პერფორმატიულ ლექცია-ინტერვიუების პრაქტიკად გადაიქცა. დისკუსიებში ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი გამოსახულებები და ხმის მეფინგი თანადროულ ხელოვანებასა და წარსული ეპოქის ნამუშევრებს შორის დიალოგის შესაძლებლობას ქმნის, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ შედგებოდა.

კრიტიკული კვლევის და ექსპერიმენტული თამაშის ეს მიდგომა აცოცხლებს ფიზიკურ სივრცეს. **CRITICISM + VALUE**, ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და თანამედროვე ხელოვნების სივრცე, რომელიც თბილისში, კოტე აფხაზის 18/2-ში მდებარეობს, ისეთ გამოფენებს, პერფორმანსებსა და საკურატორო პროექტებს დაეთმობა, რომლებიც გალერეას როგორც სახელოსნოსა და სასწავლო სივრცის გაგრძელებას განიხილავენ. სივრცე თანამედროვე ხელოვნების, არქიტექტურის, პედაგოგიკისა და კრიტიკული აზროვნების გადაკვეთაზე ფუნქციონირებს და განთავსებულია **TIMM ARCHITECTURE**-ის შეხვედრების ოთახში. ეს არის გამოფენების, ხელოვნებისა და არქიტექტურის ურთიერთობის შესახებ დისკუსიების ადგილი, რომელიც აერთიანებს ობიექტებს, იდეებსა და დამსწრე საზოგადოებას ისეთ კონფიგურაციაში, რომელიც იშვიათად გვხვდება ტრადიციულ საგამოფენო სივრცეებში.

პრეს რელიზი /// SCROLL DOWN FOR ENGLISH VERSION

TIMM Architecture-ის შესახებ
TIMM Architecture წარმოადგენს დიზაინსა და კვლევაზე ორიენტირებულ საერთაშორისო პარტნიორთა ქსელს. **TIMM Architecture** მუშაობს როგორც მცირე არქიტექტურულ პროექტებზე, ასევე მასშტაბურ ურბანულ ინტერვენციებზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

მხატვარი და კურატორი
Ernest A. Bryant III
criticismandvalue.com
info@criticismandvalue.com

+995 511729140 (საქართველო)
+1 612 212 8100 (აშშ)
კოტე აფხაზის ქ. 18/2
თბილისი, საქართველო

კეტე კოლვიცი, *ლოსბრუხი,* სერიიდან *გლეხთა ომი,* 1902, (დაბეჭდილია 1921 წელს)
ოფორტი / მშრალი ნემსი, 48,89 × 57,78 სმ

—Press Release—for immediate release—Press Release—

Powerless In the Mist of the Juggernaut: Etchings by Käthe Kollwitz

Curated by Ernest A. Bryant III, for CRITICISM + VALUE, Experimental Pedagogy & Contemporary Art Space: A collaboration with TIMM Architecture, and Tbilisi State Academy of Arts.

Location: Kote Afkhazi 18/2, Tbilisi, Georgia
Exhibition Dates: May 16 – June 16, 2026
Opening Reception: May 16, 2026 | 18:00 – 21:00
Admission: All events are free and open to the public

Related events:
May 23, 2026 18:30 >> *The Weavers*, (1927) Dir. Frederic Zelnik
May 30, 2026 18:30 >> *Metropolis*, (1927) Dir. Fritz Lang
June 6, 2026 18:30 >> Lecture and conversation with artist Wayne Hodge
June 13, 2026 18:30 >> Lecture and conversation with curator Ernest A. Bryant III

Powerless In the Mist of the Juggernaut assembles etchings by the German artist Käthe Kollwitz (1867–1945). Artworks made between 1899 and 1910, when Europe stood at the edge of catastrophes it could not yet fully name, will be exhibited in Tbilisi Georgia. These works have been assembled for appreciation, pedagogy, potential clarity and critique.

This modest exhibition is the first time artworks by Käthe Kollwitz have been exhibited in Tbilisi Georgia. They arrive here not from a museum vault, but from a personal 'teaching collection'— objects that have spent the past three years as the subject of conversations with artists and students in America, and now Tbilisi, Georgia. These works have served as inspiration, aesthetic reference, opportunities for close looking, essay production, as primary sources, evidence, provocations and material—yes material. That origin matters. These prints have been looked at intensely, argued over, and sat with in silence. They carry that accumulated attention— from the hands of Kollwitz… to the gaze of over eighty students and now to the public in Tbilisi, Georgia.

Kollwitz spent her life making art about people whose lives were largely invisible to or ignored by many artists. She lived among the working poor of Berlin, and the proximity of that world proved essential. "Beauty, for Kollwitz, was not prettiness, it was weight and dignity in truth." In her hands, printmaking, with its pressure, resistance and capacity to circulate images suited a practice committed to producing images of the lives of the common working people.

This exhibition poses questions of the past in the quaking shadow thrown upon the past by current events: have we learned as witnesses…not observation from the subdued safety of a centuries long gap, but bound through implication from those moments and these—the body standing at the edge of the crowd, the person holding the image, the student asked to write about what they see, the digital pedestrian eyeing catastrophe?

About the Curator
Ernest A. Bryant III is an artist, educator, who moves between the labor of the studio, the classroom and the exhibition space. He holds an MFA from Yale University, an MFA from the New York School of Visual Arts and a BFA from the Minneapolis College of Art and Design. Four years ago he designed the course *Engaging Art in Our World*, a first-year writing seminar, in which original works of art and artifacts serve as primary 'text' augmented by essays and literature about art. The five Kollwitz etchings in this exhibition, objects chosen not for their rarity but for their capacity to provoke and provide opportunities for close looking and rigorous thought, are drawn from that teaching collection.

Powerless In the Mist of the Juggernaut: **Four Prints by Käthe Kollwitz** is the inaugural exhibition in the collaboration between Criticism + Value, and TIMM Architecture, and Bryant's first exhibition project in Tbilisi, where he is conducting pedagogical research and undertaking studio work.

About CRITICISM + VALUE (C+V)
(C+V) began as a discussion series exploring a single, generative question: what would a work of art say if it could speak verbally? Founded by Ernest A. Bryant III in 2020, C+V evolved from an intimate conversation series, into a, experimental performative lecture and interview series that uses AR image and AI voice mapping to stage dialogues between living artists and artworks from previous eras, making the impossible conversations possible across time and space.

That same spirit of critical inquiry and experimental play now animates a physical space. **CRITICISM + VALUE, Experimental Pedagogy & Contemporary Art Space**, located at Kote Afkhazi 18/2 in Tbilisi, Georgia, will host exhibitions, performances, and curatorial projects that treat the gallery as an extension of the art studio and classroom. The space operates at the intersection of contemporary art, architecture, pedagogy, and critical thought. Situated in the meeting room for **TIMM ARCHITECTURE**, it provides opportunities for exhibition as well as discussions about the inherent relationship between art and architecture— bringing together objects, ideas, and audiences in configurations that conventional exhibition venues rarely permit.

About TIMM Architecture
TIMM Architecture is a design and research oriented international network of partners offering design solutions ranging from small-scale architectural projects to large-scale urban interventions.

For more information:
Director, Artist & Curator
Ernest A. Bryant III

criticismandvalue.com
info@criticismandvalue.com

+995511729140 Georgia
+16122128100 USA

Kote Afkhazi 18/2
Tbilisi, Georgi

Käthe Kollwitz, *Losbruch,* (Outbreak), from the series The Peasants' Revolt (Bauernkrieg), 1902, (Printed in 1921) Drypoint and aquatint etching, 19.25 × 22.75 inches *Photo: E.A. Bryant III. Image courtesy Criticism and Value*